

განკარგულება N  
2017 წელი, 7 ივნისი  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური  
ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მე-13 მუხლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა თანდართული დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.